ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**№49. 49261903**

თარიღი:**09/07/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე–20 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026 წლის 9 ივლისს, 14:00 საათზე მოწვეულ იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

   1) ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:
   ა) ბრძანების გამოქვეყნება;
   ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

   გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 13:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM